სექსუალური განათლების შემოღება სკოლებში მოზარდი თაობისა და ერის გენოციდის ტოლფასია

სექსუალური განათლების პროგრამა 1970 წელს შემოიღეს აშშ-ში, შემდგომ სხვა ქვეყნებში. ამ ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ არც ერთი პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც შემოიღეს ამ პროგრამით სწავლება, არ იქნა დაძლეული. პირიქით: მნიშვნელოვნად გაიზარდა ადრეული სქესობრივი ცხოვრების დაწყების, ადრეული ორსულობების, აბორტების, ვენერიულ, შიდსით და სხვა დაავადებათა, სექსუალურ ნიადაგზე კრიმინალურ დანაშაულობათა რაოდენობა, მათი გავრცელების ტემპები.

პროგრამა სხვადასხვა სახელწოდებით ისწავლება, როგორიცაა: „სექსუალური განათლება“, „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „რეპროდუქტიული ჯანმრთელობა“, „სქესობრივი აღზრდა“, „ჯანმრთელობის გაკვეთილები“, „ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“ და ა.შ. ყველა მათგანის არსი ერთია, ერთია მიზნებიც: „უსაფრთხო სექსისა“ და კონტრაცეფციის სწავლება, მოზარდების კონტრაცეპტივების მომხმარებლებად გადაქცევა. შორს მიმავალი მიზანი კი – შობადობის შემცირება და დემოგრაფიული „კორექტირება“, ანუ გენოციდი.

რას ასწავლის პროგრამა ჩვენს შვილებს? პირველ რიგში – ე.წ. „უსაფრთხო სექსს“, რომელიც მოიცავს: ონანიზმს, ანალურ, ორალურ და ვაგინალურ სექსს, ჰომოსექსუალიზმს, სოდომისეულს (მამათმავლობა, ლესბოსელობა, ზოოფილია) და სხვა ფორმებს. იგი ხელს უწყობს სქესობრივი ცხოვრების ადრეულ დაწყებასა და უწესრიგო სქესობრივ კავშირებს, გადაგვარებული „სექსუალური ფორმების“ ათვისებას. ასე, მაგალითად აშშ-ში სექსუალურ განათლებას მოჰყვა სექსუალური უმცირესობების კლუბების შექმნა სკოლებში. პროგრამაში ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი, ტრანსსექსუალიზმი, პედოფილია და სხვა გადახრები განმარტებულია როგორც ნორმალური სქესობრივი ცხოვრების ვარიანტები, მაშინ როდესაც მეცნიერება სქესობრივი გაუკუღმართებებისა და დარღვევების ამ ფორმებს ფსიქიურ აშლილობად მიიჩნევს და ისინი შეტანილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მე-9 დაზუსტების დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში.

პროგრამა ხელს უწყობს დისჰარმონიული სექსუალობის ფორმირებას, რაც არღვევს მოზარდის ნორმალურ განვითარებას და იწვევს მის ფსიქიკაში პათოლოგიურ ცვლილებებს, რიგ შემთხვევაში კი - სადისტური მიდრეკილებების სტიმულირებას. მომავალში ასეთ ადამიანს არ შეუძლია ჰარმონიული ოჯახის შექმნა, ის მუდმივად იცვლის სექსუალურ პარტნიორს, ცინიკურად ეპყრობა სქესობრივ ცხოვრებას, ხოლო იმ მოზარდებში, რომლებიც უბიწოების დაცვას ცდილობენ, პროგრამა ხელს უწყობს არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას. სექსუალური ნორმალურობის საკითხში ასეთ გადახრას მივყავართ ერის სოციალური ერთობის დაცვის მექანიზმების რღვევამდე, თაობებს შორის ურთიერთგაგების გაუარესებამდე, ოჯახში კონფლიქტური ურთიერთობების ზრდამდე. გაძლიერებული ჰიპერსექსუალობისა და მოზარდთა ასაკისთვის დამახასიათებელი არასაკმარისად ფორმირებული კრიტიკულობის ფონზე სექსუალური აღრევისა და ყოვლისდაშვებულობის დამკვიდრება ზრდის მოზარდების ასოციალური და ანტისოციალური ქცევის რისკს.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მოზარდებისაგან მოითხოვება სინდისისაგან განუყოფელი სირცხვილის ბუნებრივი გრძნობის დაძლევა, ეს კი დამღუპველია მოზარდთა როგორც ზნეობრივი, ისე ფსიქიური სიჯანსაღისათვის. პროგრამა სულის უბიწოებას, ქალწულობას ცრურწმენად, ქრისტიანთა თვალსაზრისით რაღაც მისტიკურ ფასეულობად მიიჩნევს. ქრისტიანობამ ხომ დედობისა და ქალწულობის სიმბოლოები ღვთისმშობელ-ქალწულის კულტში შეაერთა. პროგრამის ავტორების აზრით კი ეს კულტი – ვხედავდეთ ქალებში ჩვენს დედებსა და დებს, – გამოიყურება როგორც სისხლის აღრევა, და ამან, თურმე, ზოგიერთ მამაკაცში ფსიქოლოგიური იმპოტენცია დაბადა. სწავლებისას პროგრამა იყენებს დაუშვებელ, დადებითი ზნეობრივი ცნებების რაღაც სამარცხვინოსთან ან საძულველთან ასოციაციური დაკავშირების ხერხებს, მაგალითად, ქალწულობა სამარცხვინო და რელიგიური ცრურწმენაა, ბავშვის დაბადება – თანდაყოლილი სიმახინჯე, ოჯახი – სიმძიმე და ა.შ. იგი ახდენს კულტურის, სიყვარულის დაყვანას სქესთა შორის ურთიერობის ზოოლოგიურ დონემდე, უარყოფს სიყვარულის ზნეობრივ კატეგორიებს. ის ასწავლის მოზარდებს, რომ სიყვარულში ერთგულება მონათმფლობელური წყობისათვის დამახასიათებელი ჩამორჩენილობაა, ქალწულობის შენახვა გათხოვებამდე – ოჯახის სირცხვილი.

პროგრამა მოზარდებს ესაუბრება სასქესო სისტემის ფიზიოლოგიის, ერექციისა და სქესობრივი აქტის შესახებ. სქესობრივი მომწიფების პერიოდის ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის შესახებ სწავლებას პროგრამა ანტიმეცნიერული დასკვნით ამთავრებს, თითქოს მოზარდული მასტურბაცია (ონანიზმი) არის ნორმალური მოვლენა, რომელსაც, როგორც „განტვირთვის ბუნებრივ მეთოდს“, მოზარდმა იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუ რაღაც მიზეზების გამო შეუძლებელია სქესობრივი აქტის ჩატარება (?!) – აი, ასე რყვნის სექსგანათლება მოზარდებს სკოლებში.

სექსგანათლების პროგრამის მეთოდური რეკომენდაციაა – **„ასწავლეთ ყველა მოსწავლეს პრეზერვატივის გამოყენება“**. პროგრამა მიზანმიმართულად ნერგავს ცრუ ალტერნატივას: ვენერიული დაავადებები, არასასურველი ორსულობა – ან პრეზერვატივი; და უბიძგებს ცრუ დასკვნის გამოტანისაკენ, თითქოს პრეზერვატივი არის ერთადერთი დამცავი საშუალება დაავადებებისა და მოზარდებში არასასურველი ორსულობებისაგან. პროგრამა ამბობს: **„პრეზერვატივი – შიდსის პროფილაქტიკის ერთადერთი საშუალებაა... ყოველი წესიერი მოქალაქე შიდსით დაავადების რისკს ექვემდებარება“**. მაგრამ, ჯერ ერთი, ყველა არ ექვემდებარება და ეს რისკიც მოქალაქეთა სხვადასხვაა ჯგუფისათვის სხვადასხვაა. მეორეც, პრეზერვატივი არ იცავს პიროვნებას შიდსით დაავადების რისკისაგან შიდსით დაავადებულთან სქესობრივი კონტაქტის დროს. აი, ერთ-ერთი დიდი სიცრუე პროგრამისა და მისი აპოლოგეტებისა. პროგრამა არ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ადრეული სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავება, შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტებისა და უწესრიგო სქესობრივი ცხოვრების გამორიცხვა – სწორედ ეს არის სინამდვილეში ადრეული ორსულობების, ვენერიული დაავადებისა და შიდსის პროფილაქტიკა.

პროგრამის რეკომენდაციაა: **„შეეცადეთ მოსწავლეებს ჩააგონოთ აზრი იმის შესახებ, რომ არავის არ შეუძლია და არავის არა აქვს უფლება შენს მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება. შენი სხეული მხოლოდ შენ გეკუთვნის, და შენ თვითონ წყვეტ, თქვა „ჰო“ ან „არა““**. ბავშვებისათვის ეს ჩაგონება მიზანმიმართულია იქითკენ, რომ ბავშვთა სულებში უცხო, დასავლეთის უკიდურესი ინდივიდუალიზმის ავტონომიური პროტესტანტული ეთიკის ჩანერგვის გზით მოსწყვიტონ ისინი მშობლებს, ოჯახს, ეროვნულ, კულტურულ, რელიგიურ ტრადიციებს.

ამგვარად, პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლის გონებაში „სექსის“ კულტის ჩანერგვას მის მრავალფეროვან სახეობებთან ერთად, სქესობრივი გადაგვარებისა და დარღვევების ჩათვლით, ხრწნის და ანგრევს არა მხოლოდ ზნეობრივ, სულიერ, სოციალურ საფუძვლებს, არამედ მოზარდი თაობის ბუნებისთვის დამახასიათებელ ცხოვრების ბუნებრივ საფუძვლებს. ასეთი პროგრამის ფართო დანერგვას სკოლებში აუცილებლად მოჰყვება მოსწავლეთა ჯანმრთელობის არსებითი გაუარესება, როგორც ფიზიკურ, ისე ზნეობრივ და სოციალურ ასპექტებში.

მშობლებო, პედაგოგებო, ნუ ვუღალატებთ ჩვენს შვილებს, ნუ დავუშვებთ ჩვენი შვილების სულისა და ხორცისთვის, ჩვენი ქვეყნის მომავალისათვის დამღუპველ სექსგანათლების პროგრამას სკოლებში. მოღალატეთა სახელებს ქვეყანა გაიგებს და ისინი უმკაცრეს პასუხს აგებენ ერისა და ღმრთის წინაშე. გავიზიაროთ აშშ-ს გამოცდილება: სექსგანათლების პროგრამის დამანგრეველი შედეგების გამო აშშ-ში და სხვა ქვეყნებში სექსგანათლების პროგრამის ნაცვლად თანდათან შემოაქვთ პროგრამა **„მხოლოდ თავშეკავება“,** რომლის წარმოდგენის დროს პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: **„როდესაც ჩვენს ბავშვებს უწევთ არჩევანის გაკეთება თვითკონტროლსა და თვითგანადგურებას შორის, ხელისუფლება არ უნდა გადგეს განზე“**. ამ პროგრამის ფარგლებში ამერიკის მოზარდ თაობას ასწავლიან, რომ **„სექსუალური ურთიერთობების ერთადერთი საზოგადოებრივად მიღებული კრიტერიუმი უნდა იყოს ქორწინებამდე თავშეკავება, ერთგულება და ერთქორწინება“**, რომ **„თავშეკავება – ყველაზე საიმედო და 100%-ით ეფექტური საშუალებაა არასასურველი ორსულობებისა და დაავადებების თავიდან ასაცილებლად“**.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
www.religia.ge

სექსუალური განათლების შემოღება სკოლებში მოზარდი თაობისა და ერის გენოციდის ტოლფასია

იბეჭდება შემოწირულობებით
ვრცელდება უფასოდ
(სხვასაც წააკითხეთ)